ხაშურის მოამბე

№1(375) 13 იანვარი, პარასკევი, 2023 წელი

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ მოსახლეობას საქართველოს პარლამენტში მუშაობის წლიური ანგარიში წარუდგინა

შეხვედრაზე,რომელიც სასტუმრო ''ივერიის'' საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, მაჟორიტარმა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას გააცნო ის საკითხები, რომლებსაც წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობის პერიოდში დაუჭირა მხარი.



შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართა და დეპუტატმა იმ პრობლემებზე, გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელა, რაც დღესდღეობით ხაშურის მუნიციპალიტეტში დგას.

(ანგარიში იხილეთ მეორე გვერდზე)

საახალწლო საჩუქრები - დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციართათვის

ახალი წლის დღეებში, ხაშურში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების და დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე ნოზაძემ და განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა დამდეგი ახალი წელი მიულოცეს და ტკბილეული გადასცეს.

საახალწლოდ სასურსათო კალათა უკიდურესად შეჭირვებულმა 14-მა ოჯახმაც მიიღო.

აქცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

2022 წლის საუკეთესო დირექტორის ტიტულის მფლობელი ქალაქ ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი გახდა

2022 წლის საუკეთესო დირექტორის ტიტულის მფლობელი ქალაქ ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი გახდა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა საპატიო ჯილდო – საუკეთესო დირექტორის სამკერდე ნიშანი გადასცა. დაგვეთანხმებით, ეს ფაქტი უდიდესი პატივია როგორც სკოლისთვის, ისე ჩვენი

მუნიციპალიტეტისთვის. კონკურსი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო.

2022 წლის საუკეთესო დირექტორის კონკურსის გამარჯვებული და ფინალისტები სასწავლო ვიზიტით შვეიცარიაში გაემგზავრებიან, სადაც ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრს (CERN), ციურიხის გიმნაზიასა და პედაგოგიურ უნივერსიტეტს ეწვევიან. გამარჯვებული დირექტორების სკოლებს საჩუქრად ასევე გადაეცემათ ვირტუალური ლაბორატორიები.

კონკურსის, გამარჯვების და მონაწილეობის შესახებ, პირველი სკოლის დირექტორი, <u>მორის დანდურიშვილი</u> გვესაუბრა:

-პირველად, 2020 წელს გამოცხადდა წლის საუკეთესო დირექტორის კონკურსი, მეორედ - წელს. ჩემმა თანამშრომლებმა შემომთავაზეს მონაწილეობის მიღება, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან უკვე ლიდერობის ეროვნულ კონკურსში ვიღებდი მონაწილეობას და უკვე ათეულის წევრი ვიყავი, ჩავთვალე, რომ აღარ უნდა მიმეღო მონაწილეობა. ხაშურის რესურსცენტრის უფროსმა, ბატონმა ზვიად გოგუაძემ,რომელსაც უფლება ჰქონდა,წარედგინა სკოლის დირექტორი კონკურსში, წარმადგინა. მასწავლებელთა სახლისგან მომივიდა წერილი, წარდგენის შესახებ და თხოვნა, განაცხადი შემევსო. ეს იყო ძალიან დიდი ნდობა რესურსცენტრის მხრიდან და იყო ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობა ჩემთვის. ზაფხულში,შევავსე საკონკურსო განაცხადი.

<u>- რა იყო ძირითადი მოთხოვნები, რისი დაკმაყოფილებაც გიწევდათ კანდიდატებს?</u>

-საკონკურსო განაცხადს რიგი კრიტერიუმები ახლდა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სკოლის მიღწევა კონკურსანტის დირექტორობის პერიოდში. ჩემი მხრიდან ეს იყო ნდობაზე ხაზგასმა. პირველ სკოლაში მოუყვანიათ ბავშვები მაშინ, როცა მასწავლებელი ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, ენდობოდნენ სკოლას, როგორც ინსტიტუციას, 350 ბავშვიდან, დღეს უკვე 700 ბავშვი გვყავს. ეს უკვე ნდობაა. ჩავწერე ხუთწუთიანი, არგუმენტირებული ვიდეო. არ ყოფილა არცერთი პროგრამა, პროექტი, განათლების სამინისტროს, თუ არასამთავრობოების მიერ ინიცირებული, რომლის პარტნიორიც პირველი საჯარო სკოლა არ ყოფილიყოს. გადავიღე ჩემს კაბინეტში ვიდეო,სადაც ნდობის ამ და სხვა ფაქტორებზე ვსაუბრობდი.გარდა ამის, ერთ-ერთი საკონკურსო კრიტერიუმი იყო,შენი,როგორც სკოლის დირექტორობის დინამიკაში,რას მიაღწია სკოლამ,მასწავლებლებმა,მოსწავლეებმა,მშობლებმა. ასევე იყო თანამშრომლობის დანერგვის კუთხით, რა გააკეთა სკოლამ სკოლათა შორის. ჩვენი ყველაზე მთავარი მიღწევა,რამდენიმე უნივერსიტეტთან ღია თანამშრომლობაა,სხვადასხვა კუთხით. სულ ვეუბნები ჩემს თანამშრომლებს, რომ ჩვენ საკუთარი თავის გარდა, არცერთი სკოლის კონკურენტები არ ვართ და ჩვენი მიზანია, რომ ყოველი მომავალი სასწავლო წელი, წინაზე წარმატებული იყოს.

ასევე, იყო საუბარი ინკლუზიურ გარემოს შექმნაზე და შემიძლია თამამად ვთქვა,რომ ამის პირველი პრეცენდენტი სწორედ ჩემი დირექტორობის პერიოდში მოხდა. ავიყვანეთ კარგი მასწავლებელი, რესურსოთახი მოვაწყეთ, ვიმუშავეთ ცნობიერების ამაღლებაზე. ამ წარმატებებმა მოიტანა სწორედ ეს გამარჯვება.

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ მოსახლეობას საქართველოს პარლამენტში მუშაობის წლიური ანგარიში წარუდგინა

(ანგარიში მომზადებულია მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მიერ)

. საქართველოს მოსახლეობა, 4 წელიწადში ერთხელ, მონაწილეობას იღებს საპარლამენტო არჩევნებში და ირჩევს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც, ხალხის მიერ მინიჭებული მანდატით, ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას. თუმცა, დამეთანხმებით,რომ პარლამენტის წევრის და მოქალაქეების ურთიერთობა არჩევნების დღეს არ იწყება და არც მთავრდება, ეს უწყვეტი პროცესია. 2 წელი გავიდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან და მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ძირითადი მოვალეობა კანონშემოქმედებაა, ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია რაიონის ყოველდღიურ საქმიანობაში, სოციალური საკითხებიდან დაწყებული ინფრასტრუქტურით დასრულებული. ამ საკითხთან დაკავშირებით, ხშირია დავა, რომ დეპუტატის ფუნქცია არ არის რაიონის ყოველდღიური საქმიანობა. მაგრამ, არის ერთი მაგრამ. თქვენთვის ცნობილია, რომ პარლამენტარის მანდატი, ფუნქციების თვალსაზრისით, არ ასხვავებს მაჟორიტარ დეპუტატს, პროპორციული სიით არჩეული დეპუტატისგან, მაგრამ

მაჟორიტარ დეპუტატს აქვს კიდევ სხვა დატვირთვა,პასუხისმგებლობა საკუთარი ამომრჩევლების მიმართ. სწორედ ამის გამოა, რომ საკანონმდებლო საქმიანობის პარალელურად, მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე დროის უმეტეს ნაწილს რეგიონში ატარებს. ერთად მუშაობის შედეგი კი სახეზეა.

ბოლო 1 წლის განმავლობაში, დამეთანხმებით, რომ თვალსაჩინოა ის პროექტები,რაც მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძის და ბატონი თენგიზის მერობის დროს განხორციელდა. საერთო ჯამში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გარდა, სოფლამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 11 579 884 ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სადაც 77 სხვადასხვა პროექტი განხორციელდება გზის რეაბილიტაციაზე იხარჯება - 489 976 ლარი, გზებთან ერთად ასევე მოეწყო სანიაღვრეები, რაც საერთო ჯამში 130 277 ლარი დაჯდა. სტადიონების მოწყობასა და მათ რეაბილიტაციაზე საერთო ჯამში გათვალისწინებული იქნა 1 135 059 ლარი. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ „ივერიის“ სტადიონი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და პროექტის ღირებულებამ საერთო ჯამში 6.4 მილიონი ლარი შეადგინა. ასევე ბევრ ლოკაციაზე მოეწყო სკვერი და დასასვენებელი ადგილი, რისთვისაც გათვალისწინებული იქნა 535 070 ლარი. ერთ-ერთი გამორჩეული და ყველასთვის სასიხარულო პროექტი, რომელიც მიმდინარეობს, არის ზემო-სერის სკვერის რეაბილიტაცია, ეს სივრცე ჩვენი მოსახლეობისა და ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილად იქცევა. პროექტის ღირებულებაა 803 897 ლარია. ამავე ლოკაციაზე იგეგმება რაგბის საწვრთნელი ბაზის მშენებლობა. მუნიციპალიტეტისთვის, დამეთანხმებით, წყალი საკმაოდ სენსიტიური თემაა, ამ მიმართულებით სხვადასხვა სოფლებში მოეწყო ჭაბურღილები და სათავე ნაგებობები რაზეც 142 000 ლარი დაიხარჯა, ხოლო რაც შეეხება ქალაქში ამ პრობლემის გადაჭრას, ყველას კარგად მოგვეხსენება იმ პროექტის შესახებ, რომელიც ხაშურის მოსახლეობისთვის საუკუნის პროექტად იქცა. ამ საკითხზე ბატონმა ზაალმა არაერთხელ ისაუბრა პარლამენტის სხდომებზე და მთავრობის წარმომადგენლებთან, რამაც შედეგი ნამდვილად გამოიღო. (შეგვიძლია ვიხილოთ ვიდეო-ზაზას გამოსვლა პარლამენტში) დიდი ხანია ამ დღეს ელოდება თითოეული ჩვენგან და უკვე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-მ გააფორმა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სრული რეაბილიტაციის სამუშაოებზე და სამობილიზაციო სამუშაოები მყისიერად დაიწყება.

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა, დაახლოებით, 160 კმ წყალმომარაგების მილი და 45 კმ წყალარინების ქსელი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება და განვითარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობა,რეზერვუარები და ჩატარდება სხვა აუცილებელი სამუშაოები.

მთლიანობაში, პროექტი 225 მილიონი ლარის ღირებულებისაა და მისი დასრულების შემდეგ 24 000 ბენეფიციარი 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. პროექტი ფინანსდება საქართველოს მთავრობისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს მადლობა გადავუხადო ამ პროექტისთვის.

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით და საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, 12 დეკემბრიდან თბილისი-ხაშურის მატარებლის მოძრაობა აღდგა და მოქალაქეები ისევ სარგებლობენ ტრანსპორტით

არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ საჭირო პროექტი, რომელიც არის საკრებულოს თავმჯდომარის, ქალბატონი ნინო ლიპარტელიანის დამსახურება და ამისთვის მადლობას ვუხდით მას, ეს არის სოციალური საწარმო, რომელიც დაეხმარება შშმ პირებს სოციუმთან ინტეგრაციაში და ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ არამარტო შშმ პირების, არამედ მუნიციპალიტეტის განვითარებისთვისაც ეს საწარმო წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. ჩვენ მაქსიმალურ მხარდაჭერას და გვერდში დგომას ვუცხადებთ ამ პროექტს.

მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარი დეპუტატი ცდილობს მაქსიმალურად იყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული, მაინც ვისმენთ მოქალაქეებისგან პრეტენზიებს იმასთან დაკავშირებით, რომ ის ხშირად ვერ ახერხებს მოსახლეობასთან კომუნიკაციას. ამის მიზეზი კი გახლავთ ის რომ დეპუტატი ასრულებს საკანონმდებლო საქმიანობას, შესაბამისად, მიმდინარე წლის განმავლობაში ბატონი ზაალი დაესწრო 150 სხდომას. როგორც მოგეხსენებათ, ის ასევე გახლავთ აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი და არის რამდენიმე ინიციატივის თანაავტორიც, რომლებიც შეეხება „ქარსაფარი ზოლის შესახებ კანონში ცვლილებას'' , „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში'' ცვლილების შეტანას'', „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა'' , „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანა'' და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა''.

ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზებისა და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით მუნიციპალიტეტებში იქმნება მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურო, რომელსაც არ აქვს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი და თუკი რაიმე ფინანსური დახმარება დაჭირვებია მოქალაქეს, პრობლემის მოგვარებას ყოველთვის ბატონი ზაალი უზრუნველყოფს და ეს მისი კეთილი ნებით ხდება. ბიუროს ფუნქციები, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით,რომელსაც ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

საერთო ჯამში, ბიუროს საქმიანობა შემოიფარგლება მოსახლეობისთვის შუამდგომლობის გაწევით სხვადასხვა სტრუქტურებთან სხვადასხვა საკითხში, როგორიცაა ჯანდაცვის სფერო და სოციალური საკითხები, განათლება, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა. ბოლო 1 წლის განმავლობაში საპარლამენტო ბიუროში შემოსულია დაახლოებით 500-მდე წერილი, აქედან უმეტესი ნაწილი არის ჯანდაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობა, ოპერაციებსა და მედიკამენტებზე, რაზეც ხშირად ვიღებთ დადებით პასუხს და აქვე გვინდა განვიხილოთ, კლინიკებთან ურთიერთობის დროს შექმნილი პრობლემა,რომელიც, საბედნიეროდ, მოვაგვარეთ და მოქალაქის სურვილი დავაკმაყოფილეთ.. დღესდღეობით ეს პრობლემა აღარ დგას, რადგან ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროგრამა ე.წ დიარჯი-დიაგნოზთან შეჭიდული მეთოდი,რის შედეგადაც კონკრეტული ოპერაციის თუ რეანიმაციული მომსახურების ღირებულება ყველა კლინიკაში გათანაბრდება, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია ჩართული. ეს ცვლილება 1 ნოემბრიდან შევიდა ძალაში.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ გუნდური მუშაობის აუცილებლობას, ამ შემთხვევაში ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობაზე გავამახვილო ყურადღება, თქვენ იცით რომ მოქალაქე, რომელიც სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსებით, დამატებით მუნიციპალიტეტი ვეღარ უწევს დახმარებას ოპერაციულ მკურნალობასა თუ მედიკამენტებზე, ჩვენ ეს შეზღუდვა არ გვაქვს და ამიტომ ძალიან ხშირად მერიის სოციალური სამსახურის უფროსი გვიკავშირდება და ჩვენი შუამდგომლობით ვახერხებთ ამ პრობლემის მოგვარებას, სწორედ ამ თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით მას. გაგვეხარდებოდა თუ საკრებულოს დეპუტატები უფრო მეტად გააქტიურდებიან, ითანამშრომლებენ ჩვენთან და იქნებიან შუამავლები მოსახლეობასა და ჩვენს შორის.

ასევე მოსახლეობა მოგვმართავს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა,მაგ: ქარსაცავი ზოლები და სხვა პროექტების განხორციელება ხაშურის მუნიციპალიტეტში, განათლება, რომელიც ეხება ხშირად სწავლის დაფინანსებას სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით,როგორიცაა მაღალმთიანი რაიონები, სოციალური სტატუსი და სხვა.

გვინდა კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი გავიხსენო, ერთ-ერთმა მოქალაქემ მოგვმართა შემდეგი საკითხით, რომ მისი სახლი იყო საცხოვრებლად საშიში და ესაჭიროებოდა დახმარება. ჩვენი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვუშუამდგომლეთ ამ ქალბატონს ეკოემიგრანტთა სამინისტროსთან და საბედნიეროდ, დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა და სამინისტრომ გამოყო განსაზღვრული თანხა 30 000 ლარის ოდენობის.

ჩვენ ვიცით, რომ რეგიონში მწვავედ დგას უსახლკაროების პრობლემა და ხშირად მოგვმართავენ განცხადებით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, სამწუხაროდ, არ აქვს იმის საშუალება, რომ მოქალაქეები საცხოვრისით დააკმაყოფილოს. დებულების მიხედვით, ისინი სოციალურად დაუცველ ოჯახებს უზრუნველყოფენ ბინის ქირით, რაც, ბუნებრივია, საკმარისი არ არის. თუკი მოქალაქის საცხოვრებელი სახლი სიცოცხლისთვის საშიშია და არსებობს შესაბამისი დასკვნა, ამავდროულად აღნიშნული სახლის დაზიანება გამოიწვია ბუნებრივმა სტიქიებმა,როგორც ქალბატონ ზინაიდას შემთხვევაში იყო,მოქალაქე იღებს გარკვეულ თანხას, რომ შეიძინოს სიცოცხლისთვის უსაფრთხო საცხოვრისი.

როგორც მაჟორიტარი დეპუტატის შემთხვევაში, ასევე ბიუროს საქმიანობაშიც ჩვენ გვაქვს ვალდებულება ჩვენი ამომრჩევლის წინაშე. სწორედ ამიტომ ბიუროს თანამშრომლები ჩართულები არიან თვითმმართველობის ყველა ტიპის აქტივობებში. როგორიცაა: მოსახლეობასთან შეხვედრები, გენდერული თანასწორობის 16 დღიანი კამპანია, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები და კონფერენციები,შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირეული ღონისძიება, გამოფენა-გაყიდვა და სხვა.

ბუნებრივია, გარდა იმისა რა მაგალითებიც მოვიყვანეთ, მოსახლეობას ყოველდღიურ რეჟიმში შეუძლია მიიღოს ბიუროს თანამშრომლისგან სხვადასხვა სახის კონსულტაციები და ჩვენი კომპეტენციის შესაბამისად, შევძლებთ მათ დახმარებას. წელს სიამაყით შემიძლია ვთქვათ, რომ 500 განცხადებიდან 70% მეტი დადებითად გადაწყდა.

2022 წლის საუკეთესო დირექტორის ტიტულის მფლობელი ქალაქ ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი გახდა

(დასასრული)

- რა იყო შემდეგი ეტაპი? თუა ცნობილი, სულ რამდენი კანდიდატი იყო წარდგენილი?

-შემდგომი პროცესი გასაუბრება იყო. ჩვენთვის ცნობილი არაა, მონაწილე სკოლების რაოდენობა. მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ 10 დირექტორი გადავედით ათეულში. კომისია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. განათლების მინისტრის მოადგილე, მასწავლებლის სახლის დირექტორი, განათლების პროფკავშირების წარმოადგენლები წარმოადგენდნენ კომისიას, რომელთაც საკმაოდ დიდი ინფორმაცია ჰქონდათ ჩვენს სკოლაზე. ის, რომ მათ ამდენი იცოდნენ ჩვენს სკოლაზე, ეს უკვე გამარჯვება იყო ჩემთვის.

ამის შემდეგ, ბორჯომში დაიგეგმა სამდღიანი კონფერენცია, სხვა საკითხთან დაკავშირებით, სადაც იყვნენ კომისიის წევრების ნაწილი და აქ მომეცა საშუალება, უფრო ახლოს გამეცნო მათთვის ხაშურის პირველი სკოლის საერთო წარმატებები. მნიშვნელოვანი იყო ის,რომ სააპლიკაციო ფორმაში არ შევიტანე ის, რისიც მჯერა, მხოლოდ იმაზე ვისაუბრე, რაც რეალურად კეთდება და მუშაობს. მე მჯერა მრავალფეროვნების.

- დაჯილდოების დღეს როგორ გაიხსენებთ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო?

-რა თქმა უნდა, როცა კონკურსში მონაწილეობ, გამარჯვების იმედი გაქვს, მაგრამ, გამოგიტყდებით, ასეთ შედეგს არ ველოდი. 26დეკემბერს დაიგეგმა დაჯილდოვების დღე. სიმართლე გითხრათ, მოლოდინები ნაკლები მქონდა. წარმოუდგენლად დიდი ემოცია მივიღე, როდესაც ჩემი სახელი გამოაცხადეს. დანარჩენი ორი ადგილის გამოცხადება არც გამიგია. ეს იყო ბუნებრივი რეაქცია. ის, რომ მე გავხდი წლის საუკეთესო დირექტორი, უდიდესი მოტივაციაა სხვა რეგიონის სკოლებისთვის. ეს იყო უდიდესი ნდობა, ეს იყო მთელი სკოლის გამარჯვება,თითოეული მოსწავლის,მასწავლებლის,მათი მშობლების. ამაზე დიდ აღიარებას ვერც ვინატრებდი. ერთმა კომპეტენტურმა ადამიანმა მითხრა, რომ როგორც ჩვილს დედის რძე, ისე გეკუთნოდა გამარჯვებაო და დამეთანხმებით,

ამაზე დიდი შეფასება სკოლაზე შეყვარებული ადამიანისთვის არ არსებობს. სკოლის დირექტორს ქმნიან ის ადამიანები, ვინც მის გარშემო არიან. არ მახსენდება წამოწყება ჩემი მხრიდან, რომ მხარდამჭერები არ მყოლოდა, ერთად განვიხილავდით ყველა ინოვაციას. ეს სკოლა არის მოსწავლეების სკოლა. ჩემმა ერთმა მოსწავლემ ბოლოზარზე, ასეთი რამ თქვა, მე ამ სკოლაში წარმატების განცდა ვისწავლეო და ეს იყო ყველაზე დიდი უკუკავშირი იმ შრომის,რომელსაც ყოველდღიურად გავდივარ.

ვულოცავ,ჩემს მოსწავლეებს,ჩემს მასწავლებლებს,მშობლებს,ჩემს ქალაქს. ეს ერთი დიდი ,საერთო გამარჯვებაა.

თ. ჯავახიშვილი

,,ვეხები წარსულს და ვხედავ მომავალს!"

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შედგა მუზეუმის მეგობართა კლუბის-"საფიხვნოს" დაფუძნება, სადაც მშობლიური ინსტიტუციის პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ თავი მოიყარა ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია, ზოგადად, მუზეუმის იდეა და მნიშვნელოვანია მისი განვითარების პერსპექტივების გაცნობა.

მზია ლობჟანიძე - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი,დიდი ხანია ფიქრობდა და ხორცს ასხამდა საფიხვნოს დაარსებას. როგორც უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონიც განმარტავს, ,,საფიხვნო" ადგილია, სადაც სოფლის ხალხი იყრის თავს და იდეაც სწორედ აქედან მომწიფდა, რომ მხარეთმცოდნეების მიერ შექმნილიყო არაფორმალური გარემო, სადაც შეკრებილი საზოგადოება მუზეუმის საჭიროებებზე იმსჯელებდა. მზია ლობჟანიძე საუბრისას აღნიშნავს,რომ საფიხვნოს დაარსება პანდემიის გამო გახანგრძლივდა დროში...

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ,,მეგობართა კლუბის" დაარსება ჯერ კიდევ პანდემიამდე ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ძალიან შეგვეშალა ხელი ამ ორწლიანი სიმძიმის გამო, თუმცა პოსტპანდემიურ წელიწადს, წელს, გადავწყვიტეთ, რომ ეს საქმე უნდა განგვეხორციელებინა. რას გულისხმობს ზოგადად მუზეუმის საფიხვნოს დაარსება: ეს, როგორც უკვე ვთქვი, არის მუზეუმის მეგობართა კლუბი, მაგრამ მუზეუმის მეგობრად არ იგულისხმება მეგობარი ჩვეულებრივი გაგებით. ეს არის მისი თანამდგომი, ზოგჯერ - მეცენატი, ზოგჯერ - გარკვეულ საქმეში ხელისშემწყობი ფინანსურად, მორალურად და ასე შემდეგ... მაგრამ ვერ გავაიგივებთ, ვთქვათ, ,,სტეიკჰოლდერებთან", რაც გულისხმობს, რომ ეს შეიძლება იყოს გარკვეული ინსტიტუცია, რომლის უფლება-მოვალეობებშიც შედის მუზეუმთან თანამშრომლობა, შეიძლება იყოს გარკვეული საქზოგადოებრივი ორგანიზაცია, ცალკეული პიროვნება, სხვა მუზეუმის წარმომადგენლები.... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, საფიხვნოს დაარსებით მთელ საზოგადოებას მოვუწოდებთ,რომ იყოს მუზეუმის გვერდით.

ეს არის ძალიან აუცილებელი რამ,იმოტომ,რომ მუზეუმები, ზოგადად, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და რატომ? ეს არის სერიოზული გარდამავალი პერიოდი მუზეუმების მისიის, ფასეულობების, დანიშნულების გაცნობიერების თვალსაზრისით. ძველი მუზეუმი, რომელიც არსებობდა და ჩვენთვის, ყველასთვის ძალიან მისაღები იყო, ცოტა სხვა სტრუქტურისაა, სხვა მონაცემები აქვს, თანამედროვე მუზეუმს კი - სხვა. დღევანდელი და თანამედროვე მუზეუმის მცნება და გაგება ითვალისწინებს იმას, რომ ეს მუზეუმი არის ინკლუზიური მუზეუმი, ანუ თემთან თანამშრომლობით არსებობს და მისი მთავარი დანიშნულება საზოგადოების განვითარებაში მონაწილეობის მიღებაა და ამასთანავე, თუ როგორი არის მუზეუმი,ეს გულისხმობს იმას, თუ როგორი არის საზოგადოება. აი, ასეთად ჩანს უკვე დღევანდელი მუზეუმი.

საინტერესოა! მაგალითად: მსოფლიო სამუზეუმო ასოციაციებმა,ამ სფეროს წარმომადგენლებმა გამოაცხადეს თანამედროვე მუზეუმის განმარტების კონკურსი,რომელიც ხუთი წელია მიმდინარეობს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე მუზეუმის მცნება. ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია კონკურსი,ჯერ კიდევ გამარჯვებული არ არის გამოვლენილი. მაგრამ... მე ძალიან მომწონს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ჩატარებული ასეთივე მინი კონკურსი, სადაც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. აქ გაიმარჯვა ერთმა ძალიან კარგმა გოგონამ ფრაზით: ,,მე მიყვარს მუზეუმი, რადგან ვეხები წარსულს და ვხედავ მომავალს!"

- რა ძირითადი სხვაობაა ძველსა და თანამედროვე მუზეუმს შორის?

- მზია ლობჟანიძე: - ეს განსხვავება საზოგადოებამაც უნდა შეიმეცნოს და გააცნობიეროს იმიტომ,რომ ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგება აღნიშნულის გარეშე. ძველი მუზეუმი არის ცოტა უფრო სნობური და ცოტა უფრო ელიტარული. რატომ? მსოფლიო მუზეუმებში, ზოგადად, დადიოდნენ მხოლოდ განათლებული ადამიანები და ეს ადამიანები თავის სულიერ საზრდოს აქ ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც. მაგრამ დღევანდელ მუზეუმში, თემი, მთლიანად უნდა იყო ჩართული მუზეუმის მუშაობაში. თემში იგულისხმება სხვადასხვა სოციუმები, საზოგადოებები, სამთავრობო ინსტანციები და ა. შ. ამიტომ სამიზნე აუდიტორიის ცვლილება,ძველი სამუზეუმო აუდიტორიისაგან განსხვავებით,არის უკვე ძალიან მნიშვნელოვანი. თუ ძველად ჩვენთან დადიოდნენ მეცნიერები, სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა, დღეს უკვე დადიან საზოგადოების ყველა სოციუმის წარმომადგენლები. და

ყველას უნდა მისთვის საინტერესო საკითხზე ვესაუბროთ. ამის საშუალებას ჩვენი სამუზეუმო რესურსები თავისუფლად იძლევა... ჩვენი ექსპონატების მრავალრიცხოვნობით,კოლექციების სიმდიდრით, მრავალფეროვნებით,მათი სხვადასხვა ინტერპრეტაციებით მათთვის მიწოდებთ ჩვენ ახალი ტიპის მუზეუმი უნდა შევქმნათ. ეს არის

(დასასრული V გვერდზე)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50)

იზრდებოდა განათლებისთვის განკუთვნილი თანხები. თუ 1933 წელს ამ დარგისათვის რაიონში გამოყოფილი იყო 702.165 მანეთი, 1940 წელს უკვე 4 258 000 მანეთი იქნა გამოყოფილი.

1940 წლის 3 ოქტომბერს გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ წერდა: „საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შექმნილია ყოველგვარი პირობა სწავლისათვის და სწავლობს კიდეც – ეუფლება მეცნიერებას. იზრდება სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვი. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი რაიონიც, სადაც ამ ათი წლის წინათ იყო 2 საშუალო, 4 არასრული საშუალო და 15 დაწყებითი სკოლა, დაახლოებით 2135 მოწაფით, ახლა კი გვაქვს 16 საშუალო, 11 არასრული საშუალო და 49 დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობს 16 03.8 მოწაფე“ .

დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ბავშვთა ჩაბმას სწავლებაში. 1938 წელს რაიონში აღმოჩნდა ასეთი 308 ბავშვი. სწავლაში ჩააბეს 220.

რაიონში და ქალაქში სათანადო მუშაობა მიმდინარეობდა ქალაქად 10-წლიანი და სოფლად 7-წლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განსახორციელებლად.

სამამულო ომის დაწყებისთანავე,ისევე როგორც სხვა დაწესებულებები,სკოლის მუშაობაც მთლიანად ომის საჭიროებას დაექვემდებარა. სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების, მისი ყველა რიგითი მუშაკის საქმიანობის ორიენტირი ფაშიზმზე აუცილებელი გამარჯვება გახდა.

1941 წლის 4 ოქტომბერს ხაშურში გაიმართა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი, რომელზეც II საშუალო სკოლის ფრიადოსანმა მოსწავლემ მარგალიტა ავდიშვილამ განაცხადა: „მე პატარა ვარ, არც ფრონტზე გამიწვევენ, არც სამედიცინო დად მუშაობის ნებას მომცემენ, მაგრამ მე მაინც ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ვიქნები. მე და ჩემისთანები მზრუნველობას გავუწევთ ფრონტზე წასულთა ბავშვებს, ვისწავლით უფრო კარგად, ვიდრე აქამდე ვსწავლობდით, ჩვენი გულისწყრომა და ფრიადები ლახვარია ფაშისტებისათვის.

ფრონტზე წასულნო! სტალინურო შევარდნებო, მამაცო არტილერისტებო, უშიშარო მეზენიტეებო, სახელგანთქმულო ტანკისტებო, - აქედან პატარა ბავშვები გავალებთ: ჩვენი ბედნიერებისთვის,უფრო მრისხანედ ეკვეთეთ მტერს, დავამხოთ საძულველი ფაშიზმი“

ფრონტზე გაემგზავრნენ ქალაქის სკოლების მასწავლებლები,სკოლის შენობებში განთავსდა ჰოსპიტლები, მაგრამ ომის მიმდინარეობის მთელ მანძილზე არ შეწყვეტილა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

ომის წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდას, მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ფრონტის დასახმარებლად გაშლილ მოძრაობაში. მოსწავლეთა ბრიგადები ეხმარებოდნენ სოფლად კომუნისტებს, აგროვებდნენ ჯართს, სამკურნალო მცენარეებს და სხვა.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 15 ივლისის დადგენილებით შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება ზოგიერთი მსხვილი ქალაქის შვიდწლიან და საშუალო სკოლებში. ერთი წლის შემდეგ, 1944 წლის 21 ივნისს, სსრკ სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება. სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც წესდებოდა გამოსაშვები გამოცდების სავალდებულო ჩაბარება იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც ამთავრებდნენ დაწყებით და შვიდწლიან სკოლას, ხოლო იმათთვის, ვინც საშუალო სკოლას ამთავრებდა, დაწესდა გამოცდების ჩაბარება სიმწიფის ატესტატზე. ეს გამოცდები შემოღებული იქნა 1944-45 სასწავლო წლიდან. ამავე დადგენილებით დაწესდა ოქროს და ვერცხლის მედლით იმ მოსწავლეთა დაჯილდოება,რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების საუკეთესო წარმატებას გამოიჩენდნენ და წარჩინებული ყოფაქცევისა იყვნენ.

1944 წლის 1 სექტემბრიდან ქალაქის I საშულო სკოლა გადაკეთდა ხაშურის ქალთა I საშულო სკოლად, ხოლო II საშუალო სკოლა - ვაჟთა I საშუალო სკოლად. რკინიგზის №16-ე სკოლას ეწოდა რკინიგზის ვაჟთა №12, ხოლო №17-ე სკოლას რკინიგზის ქალთა №13 სკოლა.

1945 წლის 8 ივლისს ქალთა საშუალო სკოლაში საზეიმო ვითარებაში მოხდა ხაშურის ვაჟთა და ქალთა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთათვის სიმწიფის ატესტატების გადაცემა. აქვე, საზეიმო ვითარებაში ხაშურის რაიონიდან 3 მოსწავლეს: ლუიზა მაისურაძეს, ელენე თათანაშვილსა (ქალთა I საშულო სკოლა) და ტეფნაძეს (ვაყის საშუალო სკოლა) საუკეთესო სწავლისა და ყოფაქცევისთვის გადაეცათ ოქროს მედლები.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 28 მარტის დადგენილებით სკოლებში სწავლების ვადა განისაზღვრა 11 წლით, შვიდწლიანი სკოლის ნაცვლად შემოღებული იქნა რვაწლიანი, ხოლო ათწლედის ნაცვლად თერთმეწლიანი სწავლება. 1945-46 სასწავლო წელს ხაშურის სკოლებს გამოშვება არ ჰქონია. VII და X კლასებში ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

1954-55 სასწავლო წლიდან ისევ შემოღებული იქნა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და როგორც ქალაქის, ასევე რკინიგზის სკოლების მოსწავლეები გადანაწილდნენ სამოქმედო უბნების მიხედვით. ამ პერიოდიდან სახეზე გვაქვს ქალაქის I და II, რკინიგზის 12-ე და 13-ე საშუალო სკოლები. 1962-63 სასწავლო წლიდან რკინიგზის 12-ე და 13-ე სკოლებს ეწოდათ №3 და №4 საშუალო სკოლები.

1955 წელს ქალაქს შეემატა მე-3 საშუალო სკოლა, რომელსაც გადაეცა II საშუალო სკოლის ძველი კორპუსი. II სკოლა კი მთლიანად განთავსდა 1951 წელს აგებულ ახალ კორპუსში.

1956-57 სასწავლო წლიდან რკ. №3 საშუალო სკოლამ ფალიაშვილის ქუჩაზე მიიღო ახალი სასკოლო კორპუსი, ძველ კორპუსში განთავსდა რკინიგზის №5 რუსული საშუალო სკოლა. ახალ კორპუსში განთავსდა რკ №4 საშუალო სკოლაც. 1973 წლიდან რკინიგზის სკოლებს შეემატა კიდევ ერთი - №25 საშუალო სკოლა. 60-იან წლებში კი რვაწლიანი სკოლების ბაზაზე ქალაქის სკოლებს შეემატათ IV და V საშუალო სკოლები. შინდარის უბანში არსებული დაწყებითი სკოლა 1965 წელს გადაკეთდა რვაწლიან სკოლად, ხოლო 1969 წელს საშუალო სკოლად.

1960 წელს ჭალისუბანში ღუდის სკოლის ბაზაზე გაიხსნა ხაშურის მეორე რვაწლიანი სკოლა, რომელიც 1973 წელს გადაკეთდა მე-5 საშუალო სკოლად. 1989 წელს სკოლისათვის აშენდა ახალი შენობა 500-ს მოსწავლეზე.

1996 წელს რკინიგზის სამმართველომ ე.წ. რკინიგზის სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები გადასცა ხაშურის მერიასა და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა ქალაქის მე-6 (ყოფილი რკ. №3), მე-7 (ყოფილი რკ. №4), მე-8 (ყოფილი რკ. №5) და მე-9 (ყოფილი №25) სკოლები.

2006 წელს ზემოთ აღნიშნული სკოლების ბაზაზე ქალაქში შეიქმნა 9 საჯარო სკოლა.

ხაშურში 1939 წლის 1 ნოემბრიდან არსებობს ბავშვთა სარაიონო ტექნიკური სადგური. თავდაპირველად სადგურში მუშაობდა მოდელისტთა 8 და ფოტომოყვარულთა 7 წრე, რომლებშიც გაერთიანებული იყო 125 მოსწავლე.

50-იანი წლების ბოლოს ქალაქში წარმატებით განხორციელდა სავალდებულო რვაწლიანი განათლება. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას, რასაც ხელისუფლების მხრიდან არაერთი დადგენილებისა და ღონისძიების გატარება მოჰყვა. 1972 წელს ივნისში მიღებული იქნა დადგენილება „ახალგაზრდობის საშუალო განათლებაზე გადასვლის დასრულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ,“ რამაც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყანაში სკოლის შემდგომი განვითარების საქმეში.

70-იანი წლების მანძილზე ქალაქის სკოლების ყურადღება მთლიანად მიმართული იყო აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის, უკვე 80-იანი წლებისათვის ქალაქში წარმატებით განხორციელდა საყოველთაო განათლებაზე გადასვლა. ქალაქში სასკოლო ასაკის ყველა მოზარდი და ახალგაზრდა ჩაბმული იყო ყველა საფეხურის სწავლებაში.

80-იანი წლები საბჭოთა სკოლის განვითარების ისტორიაში აღინიშნა, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი. 1984 წლის აპრილში სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებები“.

ახალი კანონის მიხედვით დაწესდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალი სტრუქტურა: დაწყებითი კლასები (I-IV), არასრული საშუალო (V-IX), სრული საშუალო (X-XI). სკოლა გახდა 11 - წლიანი, დაკანონდა I კლასში 6 წლის ასაკის ბავშვის მიღება. 9 - წლიანი სკოლა გახდა ბაზა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და პროფესიული განათლებისთვის.

რეფორმის მიხედვით სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად ორიენტირად კვლავ რჩებოდა სწავლების შეერთება მწარმოებლურ შრომასთან; გათვალისწინებული იყო შრომითი სწავლების საათების გაზრდა,ყოველწლიური შრომითი პრაქტიკები არდადაგების რამდენადმე შემცირების ხარჯზე. I - IV კლასების მოსწავლეებში სწავლების დროს აუცილებელად იქნა მიჩნეული შრომის ელემენტარული ჩვევების გამომუშავება, V-IX კლასებში - ზოგადი შრომითი მომზადება, ხოლო X-XI კლასებში – შრომითი სწავლება ხორციელდებოდა სპეციალურად შექმნილ ბაზებსა და საწარმოებში საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებით. ამ მიზნით ხაშურში შეიქმნა სასწავლო-საწარმოო კომბინატი, სადაც ქალაქისა და რკინიგზის სკოლების X-XI კლასის მოსწავლეები ითვისებედნენ სხვადასხვა სპეციალობას. აქ ყველა პირობა იყო შექმნილი სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისთვის. კომბინატი აღჭურვილი იყო სპეციალური დანადგარებით,დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური პედაგოგებითა და სხვა.

90-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად იქონია გავლენა სახალხო განათლებაზეც. მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო განათლების დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაცია. ეს პროცესი განსაკუთრებით შეუქცევადი გახდა. 2004 წლიდან, თუმცა დიდი ზიანი მიადგა სახალხო განათლებას შინაარსის თვალსაზრისით. დაწყებულმა რეფორმებმა საგრძნობლად შეცვალა სახალხო განათლების მიზნები და ამოცანები, ხელისუფლების მხრიდან ფაქტიურად უგულვებელ იქნა ქვეყნის ინტერესები ამ სფეროში.

2009 წელს ქალაქის საჯარო სკოლებში სწავლობდა 4874 მოსწავლე, რომელთა აღზრდასა და სწავლებას ემსახურებოდა 431 მასწავლებელი.

როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა პერიოდში ხაშურში პროფესიულ განათლებას საფუძველი ეყრება 20-იანი წლებიდან პროფსკოლის (ჭრა-კერვის) სახით. (თუმცა ასეთი სკოლა მანამდეც, XX ს-ის 10-იან წლებში არსებობდა ხაშურში). შემდეგ 30-იან წლებში რკინიგზაზე ყალიბდება მუშათა ფაკულტეტები (მუშფაკი), რომელიც ამზადებდა სპეციალისტებს რკინიგზისათვის.

პირველ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ხაშურში დაარსდა 1970 წელს, როცა მწყობრში ჩადგა საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა. მას 1970-1977 წლებში ეწოდებოდა ხაშურის №64-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელშიც სწავლის გაგრძელება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს შეეძლოთ. 1977 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად, რომელშიც მიიღებოდნენ არასრული საშუალო განათლების ახალგაზრდები, რომლებიც არა მარტო მათთვის სასურველ პროფესიას ეუფლებოდნენ, არამედ საშუალო განათლებასაც ღებულობდნენ.

1977 წლამდე სასწვლებელი მოთავსებული იყო საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში, ხოლო 1977 წლის 1 სექტემბრიდან გადავიდა მისთვის სპეციალურად აშენებულ ტიპიურ შენობაში.

სასწავლებლის პროფილი იყო საფეიქრო მრეწველობა. თავდაპირველად მუშათა მომზადება ხდებოდა 5 პროფესიაში, ხოლო შემდეგ 4 პროფესიაში. როცა თითქმის სრულად დაკმაყოფილდა საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის მოთხოვნილება კადრებზე, სასწავლებელმა სხვა პროფესიებშიც დაიწყეს ახალგაზრდობის მომზადება. დაარსების დღიდან (1970წ), 1988 წლამდე სასწავლებელმა 3071 მაღალკვალიფიციური მუშა მოამზადა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, გავეცნოთ სასწავლებლის 1980-1988 წლების ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემებს:

სასწავლებლის კომპლექსი შედგებოდა სასწავლო კორპუსისგან 480 მოსწავლეზე, საერთო საცხოვრებელისგან 306 საწოლზე, სასწავლო-საწარმოო კორპუსისგან 120 სამოსწავლო ადგილზე და კულტურულ საყოფაცხოვრებო (კლუბი,სასადილო,სპორტდარბაზი და სხვა) კორპუსისაგან.

სასწავლებელში, ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ შემოღებული იყო სწავლების კაბინეტური სისტემა. სასწავლებელს გააჩნდა შემდეგი კაბინეტები და ლაბორატორიები: სპეცტექნოლოგიის (2), რუსული ენისა და ლიტერატურის (2), ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის (2), უცხო ენების (3), ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფია-ბიოლოგიის, ისტორიის, ხაზვის და სამხედრო მომზადების. ლაბორატორიები: ქიმიის, ფიზიკისა და სპეცტექნოლოგიის, საქსოვი, საკერავი და საზეინკლო.სასწავლებელში გაჩნდა ტექნიკური საშუალებები, რომელსაც ფართოდ გამოიყენებდნენ სასწავლო პროცესში.

მოსწავლე - ახალგაზრდობის პროფესიულ დაოსტატებას ემსახურებოდა 43 მაღალკვალიფიციური პედაგოგი და საწარმოო სწავლების ოსტატი. ყველა პედაგოგი უმაღლესი განათლებით იყო, ხოლო საწარმოო სწავლების ოსტატები - საშუალო სპეციალური განათლებით.

სასწავლებელი 70-80-იან წლებში პროფესიული განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ხაშურსა და მისი მეზობელი რაიონების სინამდვილეში. სამწუხაროდ 90-იან წლებში მან არსებობა შეწყვიტა. ხოლო მისი მატერიალური ბაზა მთლიანად განადგურდა.

ხაშურის №109 ტექნიკური სასწავლებელი გაიხსნა 1977 წლის 1 სექტემბერს. მას შემდეგ, რაც №64-ე პროფტექნიკური სასწავლებელი გადაკეთდა საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლად. იგი ღებულობდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს და სწავლების ვადა განისაზღვრებოდა ერთი წლით.

№109-ე ტექნიკური სასწავლებლის საბაზო ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო ბურთულა-საკისრების ქარხანა, რომელიც ხაშურში უნდა აშენებულიყო. თავდაპირველად სასწავლებლის საბაზო ორგანიზაციას საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა წარმოადგენდა, მაგრამ კადრებს სხვა ორგანიზაციებსაც უმზადებდა (რკინიგზის, საამშენებლო ორგანიზაციები, მინის ტარის ქარხანა და სხვა).

ვინაიდან ხაშურში ფერხდებოდა ბურთულა-საკისრების ქარხნის გახსნა, ტექნიკური სასწავლებელი საბაზო ორგანიზაციის გარეშე რჩებოდა, ამიტომ იგი 1982 წლიდან გადაკეთდა ა/კ რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებლად და მას შემდეგ კადრებს ძირითადად რკინიგზისთვის ამზადებდა.

სასწავლებელმა დაარსებიდან 1987 წლის ჩათვლით მოამზადა 2267 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკას მოუმზადა 1042 მქსოველი, მინისტარის ქარხანას – მინის დამყალიბებელი მანქანის ოპერატორი, რკინიგზის ტრანსპორტს - ელმავლის მემანქანის 182 თანაშემწე, 275 ზეინკალი და სხვა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- მუზეუმი -

„ვეხები წარსულს და ვხედავ მომავალს!“

(დასასრული)

გარდამავალი პერიოდი, ეს არის რეფორმაცია, ფაქტობრივად. მე პირველ „საფიხვნოზე“ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ სხვა დრო დადგა. როცა,მაგალითად,ოპერაში ადამიანი მიდის დახეული ჯინსებით და პირდაპირ საფეხურებზე ჩამომჯდარი აღიქვამს ნანახსა და გაგონილს და არა მაინცდამაინც, საზოგადოების მიერ დაწესებული დრესკოდით ჩაცმული და სხდებიან კიბეებზე და არა ქანდარაზე,და ა. შ. უკვე სხვა მოთხოვნები აქვს დროს წაყენებული. ხომ ასეა?! ჩვენ უნდა შევცვალოთ დამოკიდებულებები და აქედან გამომდინარე ჩვენ უკვე გვიწევს ბევრი რამის გადაწყობა.

მნიშვნელოვანია! მუზეუმის მისია: ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოდითგანვე და დღემდე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების თავმოყრა, დაცვა, აღრიცხვა, მეცნიერული შესწავლა, გამოფენა და ინტერპრეტაცია რეგიონის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენით ადგილობრივ თემსა და ტურისტებს შორის.

მუზეუმის ხედვა: გავხდეთ თანამედროვე სტანდარტების რეგიონული მუზეუმი, რომელიც თავის საქმიანობობით განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ადგილობრივი თემისა და ტურიზმის განვითარების საქმეში.

- აქ იმდენად მრავალფეროვანი სამუშაოს ჩატარება მიმდინარეობს,ზოგჯერ წარმოდგენაც კი ძალიან ძნელია. მაგრამ ხალხისთვის გასაგები და თვალსაჩინო არის პოპულარიზაცია და მიწოდება საზოგადოებისთვის. ამას სჭირდება საშუალებები. ერთი არის გამოფენების და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა, რაც უშუალოდ სოციუმის ჩართულობას გულისხმობს და მეორე არის საგამომცემლო საქმიანობის წარმოება იმისთვის, რომ პირები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაინტერესდნენ სამეცნიერო კვლევებით და ამ მხრივ წავიდეს ეს ურთიერთობები. მაგრამ,რაშია საქმე... ძველი მუზეუმი იყო,სამწუხაროდ,საწყობის ტიპის. კარგად განლაგებული სამეცნიერო კოლექციები,დაშვება აკრძალული და ა. შ. ეხლა ხელმისაწვდომობა უფრო გაადვილდა. ჩვენ უკვე ვალდებულები ვართ, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეტად ხელმისაწვდომი გავხადოთ საზოგადოებისათვის ესა თუ ის კოლექცია.

- როგორ გესახებათ,პრაქტიკულად,მუზეუმისა და საზოგადოების ინტერგრირება?

- პრაქტიკულად ეს ჯერ კიდევ იხვეწება. არის სხვადასხვა მეთოდები. მაგალითად: ერთი ექსპონატის გამოფენა,რასაც ვაპირებთ, რომ განვახორციელოთ. რომელიმე ძალიან მნიშვნელოვანი ექსპონატი ავიღოთ, იყოს ეს თუნდაც, მაგალითისთვის, გორათის სამაროვანზე აღმოჩენილი ქალღვთაება-სასმისი. ის უკვე ეპოქაზეც ლაპარაკობს, ვთქვათ, და სხვა უამრავ რამეზეც. ანუ, იმ ერთი ექსპონატის გამოფენით, მეტი თავისუფლება ეძლევა ადამიანს ამ ექსპონატის შესახებ, აზრის გაზიარების ამ დარგის სპეციალისტებთან და ა. შ. ნივთის დათვალიერებისას თავისი ფანტაზიაც ერთვება, იქვე დისკუსია იმართება, კიდევ, ვთქვათ, ანალოგებს ეძებს და ამ ყველაფრით, მუზეუმში ბევრად უფრო უშუალო და მშობლიური გარემო იქმნება მისთვის. მეორე: ძალიან საინტერესოა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. მუზეუმი ყოველთვის იყო არაფორმალური განათლების ცენტრი. იმიტომ, რომ სისტემატიზირებული ცოდნის მიწოდებისაგან ყოველთვის ცოტა გადახვეული იყო მუზეუმიდან განათლების მიღება,აღნიშნულის კეთება განსხვავებულად გვიწევს ახლა,იმიტომ, რომ ეხლანდელი ბავშვები დიდი ტექსტებით, მონოტონურად მიწოდებულ ინფორმაციას ვერ აღიქვამენ კარგად. მათ მოსწონთ თამაშით აღქმადი ინფორმაციის მიწოდება, სადაც ჩართულია მათი შემოქმედებითი უნარებისა და გარკვეული ჩვევების გამოვლენაც. ამ ყველაფრისკენ მოწოდება ძალიან კარგია. ჩვენ კარგად გამოგვივიდა არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა და არაჩვეულებრივი შედეგებიც დავდეთ.

შთამბეჭდავია! მაგალითად: შესანიშნავად იმუშავა ადგილობრივი ექიმის, დიმიტრი მაჩაბელისა და ცნობილი მცხეთელი მებაღის, მიხეილ მამულაშვილის მეგობრობის ამსახველი წერილების გამოფენამ,თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამით. ძირითადად, ეს იყო მიხეილ მამულაშვილის მიერ გამხმარი ბალახებითა და ყვავილებით შექმნილი კომპოზიციებით გალამაზებული წერილებით(მისი საოცარი,თბილი სიტყვებით შემკობილი,რასაც ის უგზავნის დიმიტრი მაჩაბელსა და მის მეუღლეს ბარბარეს,მას შემდეგ, რაც მათ შვილი გარდაეცვალათ) აწყობილი საგანმანათლებლო პროგრამა: „წერილი ახლობელს“.... ბავშვებს მუზეუმიდან წასვლა არ უნდოდათ, წერდნენ, ძერწავდნენ და ა. შ. ამავე პროგრამით, განვახორციელეთ მემორანდუმით დამეგობრებული სკოლის(მე-8 საჯარო სკოლა) მოსწავლეებთან ერთად ექსკურსია მცხეთაში, მამულაშვილის ბაღში. ძალიან საინტერესო იყო პროგრამა, რომელიც ისევ გვინდა,რომ ავამუშავოთ. ეს არის არქეოლოგიური სამარხის იმიტაცია, სადაც ბავშვები თავად, არქეოლოგებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით, ეძიებდნენ და პოულობდნენ ნივთებს იმიტირებულ არქეოლოგიურ სამარხში. კიდევ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებაც, ადრებრინჯაოს ხანის ნაცარგორის სამაროვანთან დაკავშირებით. ბავშვებმა დაწერეს საკონკურსო თხზულებები. ისინი წარმოადგენდნენ ნამუშევარს,თუ როგორ წარმოედგინათ ადრებრინჯაოს ხანის სოფელი, რომელიც ნაცარგორის სამაროვანზე არსებობდა, ვთქვათ, წარმოების რა საშუალებებს ფლობდნენ,როგორი იყო მათი მეურნეობის სახეობები და ა. შ. ეს იყო ძალიან საინტერესოდ წარმოჩენილი მათ მიერ....

- „საფიხვნოზე“ მეგობართა კლუბს ჩვენ გავაცანით, რომ ამას ვაპირებთ სამომავლოდ,და რომ მათი ჩართულობა,თუნდაც,როგორც მოხალისეების, იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

- ვინ იყო „საფიხვნოს“ პირველი აუდიტორია?

- საფიხვნოზე ჩვენ,ძირითადად,საზოგადოების წარმომადგენლები გვყავდნენ. გვსურს,მასში ჩაერთონ სტეიკჰოლდერებიც,რაც ნიშნავს მუზეუმის თანამდგომ ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებსაც. ვინ არიან სტეიკჰოლდერები? ესენი არიან,მაგალითად,ჩვენი ზემდგომი დაწესებულებები,რომლებიც განსაზღვრავენ მუზეუმის პოლიტიკას, ასევე ჩვენი ფინანსური სუბსიდირების წყარო, მუნიციპალიტეტის მერია, საკანონმდებლო ბაზის შემქმნელი მუნიციპალიტეტის საკრებულო და ა. შ. ჩვენ ვგეგმავთ,„საფიხვნოზე“ განვახორციელოთ ქვეყნის სხვა მუზეუმის თანამშრომლების ჩართულობაც, თუნდაც, ონლაინ. საფიხვნო ნიშნავს, რომ იქ უნდა მოხდეს მოსმენა, განსჯა, ბაასი. გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოებისათვის საჭირო გადაწყვეტილებები უნდა იყოს და არა მარტო მუზეუმთან დაკავშირებული საკითხებისა. საფიხვნოზე შეიძლება გავიტანოთ, ზოგადად, საზოგადოების წინაშე მდგარი რაიმე გამოწვევის განხილვა, რაშიც საზოგადოების ჩართულობაა საჭირო და თუკი ამაში მუზეუმი თავის როლს შეასრულებს, ალბათ, ამაში არაფერი ცუდი არ იქნება, პირიქით.

- შემდეგი „საფიხვნოს“ გამართვა დაგეგმილი გაქვთ? როდის იქნება კიდევ შესაძლებლობა საზოგადოებისთვის,რომ „საფიხვნოს“ სხვადასხვა თემებზე მსჯელობა გამართოს?

- ეს იქიდან გამომდინარეა, როგორ მომწიფდება საამისოდ სიტუაცია... ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან შორს იქნება, რადგან ბევრი საჭირბოროტო საკითხია მუზეუმების გარშემო და ამას უნდა აუცილებლად დალაგება, განხილვა. ჩვენ ყოველთვის დავაანონსებთ,როდის შეიკრიბება შემდეგი საფიხვნო და ვფიქრობთ, საზოგადოების სხვა ნაწილიც შემოგვიერთდება, იმიტომ, რომ ვინც იყვნენ, ძალიან დაინტერესებულნი აღმოჩნდნენ და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ისინი მოიყოლებენ სხვა ადამიანებსაც. ამასთანავე, გვინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჩვენ არავის არ ვადანაშაულებთ, რომ ვიღაცა არ მოვიდა. თუ ვინმეს მუზეუმთან თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდება,ჩვენ მხოლოდ ხელშემწყობი რგოლი და ხიდების გამდები ვიქნებით...

პირველ „საფიხვნოზე“ საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია მუზეუმის მისიის, ფასეულობების, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ, შედგა საუბარი მუზეუმის მუშაობის შეფასების თანამედროვე კრიტერიუმებზე. დაისახა მუზეუმის განვითარების სამომავლო გეგმები, რომელთა შესახებ გაზეთის შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

დასასრულს, საფიხვნოზე მობრძანებულ თითოეულ მოქალაქეს დაურიგდა კითხვარი,სადაც მოხდა მათი მოსაზრებების დაფიქსირება მუზეუმის სამომავლო საქმიანობაში გასათვალისწინებლად.

თეა ახალკაცი

ხაშური გრანდიოზული ფესტივალისთვის მზადებას იწყებს

მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც უცხო ქვეყნის ტრადიციული ხელოვნების კონკურს - ფესტივალი,თავისი მრავალწლიანი ისტორიით, ხურავს ფესტივალის ასევე ტრადიციული ჩატარების ადგილს და ჩვენს ქალაქში აანონსებს მის ჩატარებას. სიმართლე გითხრათ, მსგავსი ფაქტი არცკი გვახსენდება. ყოფილა შემთხვევა, რომ ომის, ან, ვთქვათ, ვირუსული პანდემიის შემთხვევაში, ასეთ ფესტივალს ადგილი შეუცვლია, მაგრამ იგი იმავე ქვეყნის სხვა ქალაქში გამართულა, ან საერთოდაც გაუქმებულა. ახლა კი... მგონი, დავაბნიეთ მკითხველი,

ამოიტომ მივყვეთ თანმიმდევრობით.

ისრაელის ქალაქი ცფატი ის ადგილია, სადაც ყოველი წლის ბოლოს, მრავალი ქვეყნის ახალგაზრდა ხელოვანები იკრიბებიან და კონკურს - ფესტივალში იღებენ მონაწილეობას, რომლის სახელწოდებაა „ჩრდილოეთის ცისარტყელა“ (ეს ქალაქი ისრაელის სახელმწიფოს ჩრდილოეთში მდებარეობს და სახელწოდებაც აქედან მიიღო). წელს

ცფატიმ მეთორმეტედ უმასპინძლა აღნიშნულ კონკურსს. ფესტივალი ძალზედ ფართო მასშტაბისაა და მასში მონაწილეობენ ქორეოგრაფიული ანსამბლები, ინსტრუმენტალისტები, მომღერალთა გუნდები და საცირკო ხელოვნების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან. ჩვენი ქალაქის სამუსიკო სკოლის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ გასულ წელს

„დააჭაშნიკეს“ ეს ფესტივალი, საიდანაც ტრიუმფით დაბრუნდნენ. (ეს ფაქტი ფართოდ აღნიშნა ჩვენმა გაზეთმა, რაც, იმედია, კარგად ახსოვთ გაზეთის მუდმივ მკითხველებს). ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ წელს, ხაშურის სამუსიკო სკოლა პერსონალურად იყო მიწვეული ამ ფესტივალზე. მართლაც აღფრთოვანებას იწვევს სკოლის პედაგოგის ფატი სადაღაშვილისა და კონცერტმაისტერის თამარ აბრამიძის თავდადებული შრომა, რომელთა მიერ დამოძღვრილი ახალგაზრდა ხელოვანები ასეთ შედეგებს დებენ. გნებავთ წინა წლის შედეგის გამეორება, გნებავთ საოცარი მიღწევა დაარქვით. ფაქტი კი ერთია: წელსაც ჩვენმა წარგზავნილებმა სხვადასხვა ასაკში, ყველამ პირველი ადგილი მოიპოვა. მევიოლინეებმა ანა ჩოჩიამ (V კლასი), ანანო ბერიძემ (V კლასი), ანა გოლუბიანმა (VI კლასი). ხაშურის სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა, ამჟამად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ ლიკა კალმახელიძემ (X კლასი) და ასევე ჩვენი სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა და ამჟამად კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტმა ლაშა ხუციშვილმა (საყვირი) პირდაპირ ცეცხლი დაანთეს ფესტივალის სცენაზე და ყველას დაუმტკიცეს, რომ პატარა ქალაქშიც შეიძლება დიდ ხელოვნებას ეზიაროს ინდივიდი.

ეს კიდევ არაფერი - ფესტივალის რეგლამენტით, მასში მონაწილეობა ე.წ. ონლაინ ჩართვითაც იყო შესაძლებელი. აქ კი ელიკო რატიანის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფრესკამ“ პირდაპირ გადარია ჟიურის წევრები, ისე, რომ მათ რეგლამენტიც კი დაარღვიეს და „ბის - ზე“ რამდენჯერმე გაამეორებინეს ცეკვა. ამას გოგი შუბითიძის მომღერალთა გუნდიც დაემატა და ეს უკვე ხაშურის სრული გაბრწყინების ტოლფასი გამოდგა. იდეა ჟიურის თავმჯდომარემ წამოჭრა და ყველამ უცებ დაუჭირა მხარი. მათი იდეა კი შემდეგში იყო - ასეთი ბავშვების აღმზრდელი ქალაქი იმსახურებს, რომ „ჩრდილოეთის ცისარტყელამ“ მისამართი შეცვალოს და 2023 წელს ხაშურმა უმასპინძლოს. ბუნებრივია, ქალბატონი ფატი და ბატონი თამაზი პერსონალურად ვერ გადაწყვეტდნენ ასეთი გრანდიოზული ფესტივალის ჩატარებაზე თანხმობას, თუმცა, მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ისინი შეხვდნენ მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას და მხარდაჭერაც მიიღეს. გრანდიოზული კი კონკურს - ფესტივალი მართლაც იქნება. წარმოიდგინეთ, მხოლოდ ისრაელიდან ასზე მეტი სტუმარი ჩამოვა (ჟიურის წევრები, ორგანიზატორები, მონაწილეები...). ერთადერთი პრობლემა დიდი სცენაა. მაგრამ, როგორც მერიაში განაცხადეს, ზაფხულისათვის (ფესტივალის ჩატარება ივლისის დასაწყისში იგეგმება) ყოფილი რკინიგზის კულტურის სასახლის სრული რეაბილიტაცია დასრულებული იქნება და ამაზე უკეთეს სცენას და ადგილს ვერც კი ინატრებს კაცი.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, კიდევ ერთხელ მივულოცოთ ხაშურის სამუსიკო სკოლას, „ფრესკას“, მომღერალთა გუნდს ეს დიდი წარმატება და დაველოდოთ ზაფხულის დადგომას, როდესაც ჩვენი ქალაქი მართლაც უპრეცედენტო მასშტაბის კონკურს-ფესტივალს უმასპინძლებს.

გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.